ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №133

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „1“ „ოქტომბერი“ 2019 წ.

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა**:

1.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთის მხრივ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი (ს/კ. 228542413, მისამართი ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. №44 ,შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის, დავით ფხოველიშვილის სახით, და

მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „პროჯეკტ კომპანი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ბექა აბდელანის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), მისამართი:ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N12 ბ.15, საიდენტიფიკაციო კოდი: №404892853, ტელეფონის ნომერი: 555304363, საბანკო რეკვიზიტები:ს.ს. „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი:TBCBGE22, ანგარიშის ნომერი:GE22TB7927736050100004

3. **ხელშეკრულების საგანი**

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თანდართული დეფექტური აქტის შესაბამისად (დანართი N1) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის N2 საჯარო სკოლასთან მისასვლელი გზის და სკოლის ეზოს რეაბილიტაციის (სკოლის შესასვლელისა და შიდა ეზოს კეთილმოწყობა) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (CPV-71320000, 71324000) შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 23 სექტემბრის N3890 განკარგულების (SMP190003698) საფუძველზე).

4. **ხელშეკრულების ღირებულება**

4.1 გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 1200 (ერთიათასორასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4.2 მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე:

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი. ქ. დედოფლისწყარო, 9 აპრილის ქ.

5. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე).მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროების შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, ხელშეკრულების პირობებისა და ღირებულების ფარგლებში).

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. მომსახურების მიღება – ჩაბარების წესი

მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - ინფრასტუქტურის, მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი თამაზ ალუღიშვილი და მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ინფრასტუქტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსი ავთანდილ თეთრაული.

8. ინტერესთა კონფლიქტი

8.1 საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში „მიმწოდებელთან“.

9. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

9.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

10. ანგარიშსწორება

10.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

10.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დედოფლისწყაროს

მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების (თანხის გადარიცხვის შესახებ) გამოცემიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

10.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

11. ფასები

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

11.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის) გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის - 398 -ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

11.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10 % -ს.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

14. ქვე-კონტრაქტორები

14.1 იმ შემთხვევაში, თუ ქვე-კონტრაქტორის დადების ან ქვე-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

14.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვე-კონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

14.3 ქვეკონტრაქტორი კომპანია არ უნდა იყოს რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში - ,,შავი სია“.

14.4 შემსყიდველის თანხმობის გარეშე ქვეკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს ჯარიმის სახით პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 2%-ის ოდენობით.

14.5 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი ქვე-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულებების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოინახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებლები იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

16.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მათ დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% -ის ოდენობით.

16.2 მხარეთა მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მათ დაეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5% -ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში - შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

16.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

17.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

17.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

17.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

18. დავების გადაწყვეტის წესი

18.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

18.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებიმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

19. სხვა პირობები

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2019 წლის 1 ოქტომბრიდან _ 2019 წლის 10 ნოემბრამდე.**

19.2 მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების გაწევის ვადებია **2019 წლის 1 ოქტომბრიდან _ 2019 წლის 10 ოქტომბრამდე.**

19.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **2** ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი ორგანიზაცია:	**მიმწოდებელი:**
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე	შპს ,,პროჯეკტ კომპანი“ დირექტორი
დავით ფხოველიშვილი	**ბექა აბდელანი**

Dedoplistskaro Municipality

Digitally signed by Dedoplistskaro Municipality
Date: 2019.10.01 17:24:15 +04'00'

Digitally signed by Beka Abdelani
Date: 2019.10.02 11:44:32 +04'00'

დანართი N1

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის N2 საჯარო სკოლასთან მისასვლელი გზის და სკოლის ეზოს რეაბილიტაციის (სკოლის შესასვლელისა და შიდა ეზოს კეთილმოწყობა).

N	სამუშაოს დასახელება	განზომილება	სავარაუდო რაოდენობა
1	შენობის გარშემო და სკოლის ეზოში ბორდიურების მოწყობა	გ.მ.	220
2	სანიაღვრე კიუვეტის მოწყობა	გ.მ.	40
3	შემასწორებელი ფენის მოწყობა	$მ^2$	1400
4	წვრილმარცვლოვანი ასფალტის საფარის მოწყობა სისქით 4 სმ	$მ^2$	1400